

შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/03

თბილისი

“ 12 “ იანვარი 2017 წ.

გაზაფხულის სემესტრის მობილობის ვაკანტური ადგილების, ვადების, წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის, შინაგანაწესში და აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის წესში ცვლილების შეტანის შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთსუ-ის წესდების მე-5 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების მე-5 და მე-9 მუხლების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 21 დეკემბრის №1217 ბრძანების, გთსუ-ის მობილობის დებულების 1 მუხლის, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის, სამართლის ფაკულტეტის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების დეკანების წარდგინებების და აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N 1 საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1

1. განისაზღვროს გთსუ-ში 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის ვაკანტური ადგილები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე - 70 ადგილი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბიზნესის ადმინისტრირება - (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) - 20 ადგილი;
- ტურიზმი - 20 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - 10 ადგილი;
- საბანკო საქმე - 10 ადგილი;
- რეკრეაციული ტურიზმი - 10 ადგილი.

სამართლის ფაკულტეტზე - 40 ადგილი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სამართალი - 20 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სისხლის სამართალი - 10 ადგილი;
- კერძო სამართალი - 10 ადგილი.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 25 ადგილი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ჟურნალისტიკა - 10 ადგილი;
- ფსიქოლოგია - 10 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- მასობრივი კომუნიკაცია - 5 ადგილი.

2. განისაზღვროს 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის მობილობის ვადები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

- ✓ დოკუმენტების მიღება ფაკულტეტებზე - 07 - 14 თებერვლის ჩათვლით;
- ✓ უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა - 15 თებერვალი;
- ✓ ჩასარიცხ პირთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა - 16 თებერვალი.

3. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- ✓ განცხადება (რექტორის სახელზე);
- ✓ სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი;
- ✓ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატის ასლი;
- ✓ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;
- ✓ სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით).

§ 2

1. განისაზღვროს 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვაკანტური ადგილები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე - 35 ადგილი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბიზნესის ადმინისტრირება - (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) - 10 ადგილი;
- ტურიზმი - 10 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - 5 ადგილი;
- საბანკო საქმე - 5 ადგილი;
- რეკრეაციული ტურიზმი - 5 ადგილი.

სამართლის ფაკულტეტზე - 15 ადგილი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სამართალი - 5 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სისხლის სამართალი - 5 ადგილი;
- კერძო სამართალი - 5 ადგილი.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 25 ადგილი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ჟურნალისტიკა - 10 ადგილი;
- ფსიქოლოგია - 10 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- მასობრივი კომუნიკაცია - 5 ადგილი.

2. განისაზღვროს 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვადები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

- ✓ დოკუმენტების მიღება ფაკულტეტებზე - 17 იანვრიდან - 25 იანვრამდე;
- ✓ შიდა მობილობის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა - 26 -27 იანვარი;
- ✓ ჩასარიცხ პირთა შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემა - 30 იანვარი

3. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- ✓ განცხადება (რექტორის სახელზე);
- ✓ ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით);
- ✓ ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი;

4. შიდა მობილობის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით.

- დოკუმენტების მიღება დაევალოს შესაბამის ფაკულტეტებს;
- გადმოსვლის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით.

§ 3

შევიდეს ცვლილება რექტორის 2009 წლის 7 მაისის №01-01/08 ბრძანებით დამტკიცებულ შინაგანაწესში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. 22-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

1. პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც გააჩნია სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები ადგილობრივ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში ან/და სხვა გამოცემებში. სასურველია კანდიდატი აქტიურად იღებდეს მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.

1. 22-ე მუხლს დაემატოს 1¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

1¹ პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები. კერძოდ აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში. სასურველია კანდიდატს მიღებული ჰქონდეს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. განსაკუთრებული პროფესიული მიღწევების შეფასებას ახდენს საკონკურსო კომისია.

2. 44-ე მუხლის 4-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

4. შიდა მობილობით სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს წელიწადში 2-ჯერ როგორც წესი სასწავლო სემესტრების დაწყებამდე; შიდა მობილობის წინა პირობას წარმოადგენს სტუდენტის მიერ განვლილი პროგრამის შესაბამისობის დადგენა ახალ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

§ 4

შევიდეს ცვლილება რექტორის 2009 წლის 7 მაისის №01-01/08 ბრძანებით დამტკიცებულ აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის წესში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2 აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის წესის 5.1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

5.1. 6 წლის ვადით პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში

მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- ადგილობრივ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში ი ა ნ /და სხვა გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;
- მოტივაცია, დასაბუთება პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე Acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);
- მიმართულების განვითარების პროგრამა და დისციპლინის სწავლების კონცეფცია ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით (3-4 გვერდზე Acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები);

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3 აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის წესის 5-ე მუხლს დაემატოს 5.1¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

5.1¹ უ ვ ა დ ო დ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში ი ა ნ სხვა გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია.
- მოტივაცია, დასაბუთება პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე Acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);
- მიმართულების განვითარების პროგრამა და დისციპლინის სწავლების კონცეფცია ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით (3-4 გვერდზე Acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები);

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.
- დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

რექტორი

გიორგი მათიაშვილი

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია
რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/08 "7" მაისი 2009 წ.

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის 2009 წლის 24 დეკემბრის ბრძანება №01-01/33 – (მე–III–ე თავის მე-6 მუხლის 1 და მე-2 პუნქტი);
2. რექტორის 2010 წლის 20 ივლისის ბრძანება №01-01/42 – (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)
3. რექტორის 2011 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №01-01/52 – (მე–XI–ე თავის 36-58 მუხლები)
4. რექტორის 2012 წლის 27 თებერვლის ბრძანება №01-01/07 – (მე–XI–ე თავის 36-58 მუხლები)
5. რექტორის 2012 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №01-01/57 – (44–ე მუხლის მე-4 პუნქტი და 50–ე მუხლები)
6. რექტორის 2012 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №01-01/74 – (ამოღებულია 53.3 მუხლი)
7. რექტორის 2014 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №01-01/62 – (დამატებულია 51.3 მუხლი ზ) ქვეპუნქტი)
8. რექტორის 2015 წლის 26 ივნისის ბრძანება №01-01/57 – (ცვლილება 51.3 მუხლი)
9. რექტორის 2016 წლის 28 იანვრის ბრძანება №01-01/03 – (ცვლილება 20 და 22 მუხლი, ამოღებულია 25–ე და 26–ე მუხლები)
10. რექტორის 2017 წლის 12 იანვრის ბრძანება №01-01/03 – (ცვლილება 22 მუხლი, დამატებულია 22.1¹ მუხლი, ცვლილება 44–ე მუხლის მე-4 პუნქტში)

შინაგანაწესი

თავი I. სტატუსი, მიზნები და საქმიანობის საგანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

1. შინაგანაწესი უნივერსიტეტში მოქმედ სხვა წესებთან ერთად აწესრიგებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობიდან წარმოშობილ ურთიერთობებს.
2. შინაგანაწესის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა ყველა იმ პირისთვის, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტში ან რომელსაც შრომითი ურთიერთობა აქვს უნივერსიტეტთან.

მუხლი 2. სტატუსი

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში უნივერსიტეტი) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ კომერციულ იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობას. უნივერსიტეტის შემოკლებული სახელწოდებაა „გთსუ“.
2. უნივერსიტეტს, როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირს, აქვს:
 - ა) მასზე გადაცემული ქონება;
 - ბ) დამოუკიდებელი ბალანსი;
 - გ) საბანკო ანგარიში და ბეჭედი;
 - დ) ბლანკი, რომელზეც აღნიშნულია უნივერსიტეტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, იურიდიული მისამართი, უნივერსიტეტის ლოგო; ინტერნეტში ვებ-გვერდის მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი.
3. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0101, სამღერეთის ქ. № 5.
4. უნივერსიტეტის ინტერნეტ-გვერდია: www.gttu.edu.ge
5. ინგლისურ ენაზე უნივერსიტეტის სახელწოდება არის: Guram Tavartkiladze Teaching University.

მუხლი 3. უნივერსიტეტის მიზნები და საქმიანობის საგანი

1. უნივერსიტეტი აღიარებს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და განათლების სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ ძირითად მიზნებს, მათ შორის:
 - ა) ქართულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობათა დამკვიდრებისათვის ხელშეწყობას;
 - ბ) დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებას, რომელიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
 - გ) სტუდენტებისათვის პროფესიულ ცხოვრებაში გამოსადეგი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და ცოდნის მიღებას;
 - დ) სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების აკადემიური თავისუფლების პირობების შექმნას;
 - ე) სასწავლო პროგრამის ციკლის ფარგლებში სწავლების პროცესის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიის დანერგვას;
 - ვ) კვლევისა და სწავლების პროცესის განუყოფელობას.

2. უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობაა საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლების-ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო კვლევების განხორციელება და შესაბამისი აკადემიური ხარისხების მინიჭება. ამასთან ერთად, უნივერსიტეტი ახორციელებს სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და სხვა პერსონალის გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.
3. უნივერსიტეტმა შეიძლება განახორციელოს პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამა.

თავი II. უნივერსიტეტის სტრუქტურა, უნივერსიტეტის მართვის ორგანოები, მმართველი სუბიექტები და მათი კომპეტენცია

მუხლი 4. უნივერსიტეტის სტრუქტურა

1. უნივერსიტეტის სტრუქტურა შედგება მართვის ორგანოებისაგან, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან.

მუხლი 5. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები, მმართველი სუბიექტები და კომპეტენცია

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია):
 - ა) აკადემიური საბჭო;
 - ბ) რექტორი;
 - გ) რექტორის მოადგილე (პრორექტორი);
 - დ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებია:
 - ა) ფაკულტეტები;
 - ბ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
3. უნივერსიტეტში არსებობს შემდეგი ფაკულტეტები:
 - ა) ბიზნესის ადმინისტრირების;
 - ბ) სამართლის;
 - გ) სოციალურ მეცნიერებათა.
4. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია:
 - ა) ფაკულტეტის საბჭო;
 - ბ) დეკანი.
5. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ უნივერსიტეტის შინაგანაწესის და საკუთარი დებულებების საფუძველზე.

თავი III. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

მუხლი 6. აკადემიური საბჭო

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო შედგება 6 წევრისაგან.
2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედის რექტორი, პრორექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და პირები, ვისაც მოიწვევს რექტორი. (ცვლილება რექტორის 2009 წლის 24 დეკემბრის ბრძანება №01-01/33)

მუხლი 7. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

1. აკადემიურისაბჭო:
 - ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
 - ბ) ფაკულტეტის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

- გ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სფეროში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის თანამშრომლობის განვითარებას, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შედგენას;
- დ) ფაკულტეტების საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის, ასევე, ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას;
- ე) ადგენს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხის ცნობის წესს;
- ვ) ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე განსაკუთრებული დამსახურებისათვის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭოს მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს, რომელიც საქართველოს ან საზღვარგარეთის ქვეყნის მოქალაქეა;
- ზ) ხარისხის უზღუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;
- თ) განსაზღვრავს პროფესორის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას;
- ი) იღებს გადაწყვეტილებებს სხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად;
- კ) იღებს გადაწყვეტილებას პერიოდული და სხვა სახის გამოცემების შესახებ;
- ლ) ახორციელებს უნივერსიტეტში მოქმედი წესებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 8. აკადემიური საბჭოს სხდომების მომზადებისა და ჩატარების პროცედურა

1. აკადემიური საბჭო მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც.
2. საბჭოს სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს, რექტორის ან საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მიერ.
3. მოთხოვნა კეთდება რექტორის სახელზე საბჭოს მოწვევამდე ერთი კვირით ადრე.
4. რექტორის გადაწყვეტილება რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ საბჭოს წევრებს ეცნობებათ წერილობით ან ზეპირად. გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იქნეს სხდომის ჩატარების ადგილი, დრო და განსახილველი საკითხები.
5. საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 9. აკადემიური საბჭოს და აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები

1. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება წყდება:
 - ა) უნივერსიტეტის ლიკვიდაციით;
 - ბ) უნივერსიტეტის აკრედიტაციის ზედიზედ ორჯერ გაუვლელიობით;
 - გ) რექტორის გადაწყვეტილებით.
2. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
 - გ) გარდაცვალება;
 - დ) გარდაცვლილად ან უგზო-უკლოდ დაკარგულად აღიარება;
 - ე) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება;
 - ვ) ექვს თვეზე მეტი ხნის ვადით ავადმყოფობის გამო სამსახურში გამოუცხადებლობა;
 - ზ) საბჭოს სხდომაზე ზედიზედ სამჯერ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;
 - თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შრომის ხელშეკრულების,

უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის სისტემატური ან ისეთი დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი (არაქონებრივი, ან მატერიალური) ზიანი მიაყენა უნივერსიტეტს;

- ო) საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები;
- კ) რექტორის გადაწყვეტილება.

თავი IV. რექტორი

მუხლი 10. რექტორის უფლებამოსილებები, მისი გათავისუფლების საფუძვლები და წესი

1. რექტორის გათავისუფლების საფუძვლები და წესი განსაზღვრულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით და "გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის" წესდებით.
2. რექტორის უფლებამოსილებები კი დადგენილია გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 5.7 მუხლით.
3. თავჯდომარეობს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
4. რექტორი აკადემიურ საბჭოსთან ერთად განსაზღვრავს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოლიტიკასა და ძირითად მიმართულებებს, ზრუნავს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე.
5. გამოსცემს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, ბრძანებებს, განკარგულებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
6. რექტორი უფლებამოსილია, თუ კი ის ამას აუცილებლად მიიჩნევს, შეაჩეროს უნივერსიტეტის ნებისმიერი თანამდებობის პირის თუ ორგანოს გადაწყვეტილებები.
7. რექტორის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობა დაეკისრება პრორექტორს.
8. რექტორი ქმნის და აუქმებს დროებით და მუდმივმოქმედ კომისიებს, რომელთა დამტკიცება არ წარმოადგენს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებას.

მუხლი 11. რექტორის მოადგილე

რექტორის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

1. რექტორის მოადგილე:
 - ა) მართავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პოლიტიკას, უნივერსიტეტის საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესს;
 - ბ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტში განათლების მაღალ ხარისხსა და კონკურენტუნარიანობას;
 - გ) უზრუნველყოფს ახალი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ცოდნის ინოვაციური ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვას;
 - დ) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნების პროცესს;
 - ე) უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩაბმას სამეცნიერო კვლევით სამუშაოებში;
 - ვ) უზრუნველყოფს პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას, გაფართოება-განმტკიცებას საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ბიზნეს-სტრუქტურებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორთან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ;
 - ზ) უზრუნველყოფს უწყვეტი განათლების, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ეფექტიანი სისტემის შექმნას;
 - თ) ხელმძღვანელობს კვლევის პრიორიტეტული მიმართულებებში სამეცნიერო გრანტების მოპოვების პროცესს;

- ო) ხელმძღვანელობს პერსპექტიული კვლევების დაფინანსებას შიდასაუნივერსიტეტო გრანტების სისტემის გამოყენებით;
- კ) უფლებამოსილია მასზე დაქვემდებარებულ სტრუქტურებს მისცეს დავალებები, მითითებანი, აგრეთვე გასცეს განკარგულებები, მოითხოვოს დოკუმენტაცია, ანგარიში.
- ლ) ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

თავი V. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მუხლი 12. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ხარისხის სისტემურ შეფასებას, რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემები და ა.შ.) დანერგვის გზით. განსაზღვრავს თვითშეფასების პარამეტრებს, კრიტერიუმებს და ამზადებს უნივერსიტეტის თვითშეფასებას აკრედიტაციის პროცესისათვის.
3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:
 - ა) ადგენს ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესაბამისობას ფაკულტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან;
 - ბ) შეისწავლის და აანალიზებს ფაკულტეტის პროგრამებისა და გეგმების შესრულების მდგომარეობას;
 - გ) ხელს უწყობს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას;
 - დ) ამზადებს უნივერსიტეტის და ფაკულტეტების თვითშეფასებას;
 - ე) განსაზღვრავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასებაში სტუდენტთა მონაწილეობის ფორმებს;
 - ვ) შეიმუშავებს წინადადებებს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და ფაკულტეტებზე მმართველობითი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ.
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა განისაზღვრება დებულებით.
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებას ამტკიცებს რექტორი.

მუხლი 13. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:
 - ა) ორგანიზებას უწევს სწავლისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის შეფასებას და მისი შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლების ხარისხის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. აანალიზებს უნივერსიტეტის თვითშეფასების კრიტერიუმებს და ამზადებს უნივერსიტეტის ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციისათვის;
 - ბ) შეიმუშავებს ინსტრუქციებსა და დებულებებს სასწავლო, სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ახორციელებს ამავე სამსახურის დებულებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

თავი VI. ფაკულტეტი, ფაკულტეტის მართვის ორგანოები

მუხლი 14. ფაკულტეტი

1. ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების ორივე საფეხურზე სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას.
2. ფაკულტეტის საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ შინაგანაწესითა და ფაკულტეტის დებულებით.
3. ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი (კათედრა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, კლინიკა, პროგრამული მიმართულება და სხვა) და დამხმარე (ბიბლიოთეკა და სხვა) სტრუქტურული ერთეულები, რომელთა შექმნაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.

მუხლი 15. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის საბჭო წარმოადგენს ფაკულტეტის მმართველ ორგანოს, რომლის შემადგენლობაში შედიან: ფაკულტეტის დეკანი, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
2. სტუდენტთა წარმომადგენლების რაოდენობა უნდა იყოს საბჭოს შემადგენლობის მესამედი მანძი.
3. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს დეკანი. ფაკულტეტის საბჭო წყვეტს ფაკულტეტზე წამოჭრილ დისციპლინურ და აკადემიურ საკითხებს.

მუხლი 16. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს დეკანი. დეკანს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.
2. დეკანად შეიძლება დაინიშნოს სრული ან ასოცირებული პროფესორი.
3. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილება:
 - ა) უზრუნველყოს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობა;
 - ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს, აკადემიური საბჭოს, რექტორის, რექტორის მოადგილის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულება;
 - გ) შეიმუშავოს და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინოს ფაკულტეტის დებულება და ცვლილებები;
 - დ) წარუდგინოს ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად ფაკულტეტის განვითარების გეგმა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამები;
 - ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს ინდივიდუალური სამართლებრივ აქტები;
 - ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეასრულოს უნივერსიტეტში მოქმედი წესით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები.

თავი VII. ბიბლიოთეკა

მუხლი 17. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

1. უნივერსიტეტში მოქმედებს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა.

2. ბიბლიოთეკას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.
3. ბიბლიოთეკის საქმიანობის წესი და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის უფლებამოსილება განისაზღვრება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს რექტორი.

თავი VIII. უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 18. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:
 - ა) პარტნიორთა კრების და რექტორის აპარატი;
 - ბ) კანცელარია;
 - გ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
 - დ) აღრიცხვა-ანგარიშის განყოფილება;
 - ე) იურიდიული განყოფილება.
2. რექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.
3. პარტნიორთა კრების და რექტორის აპარატი;
 - ა) აპარატის ძირითადი ამოცანებია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების, სტრუქტურული ერთეულების, უნივერსიტეტის თანამშრომლების საქმიანობის ორგანიზაციული და საინფორმაციო მომსახურება;
 - ბ) აპარატის ფუნქციები და ამოცანები, მართვის ორგანიზაცია და სტრუქტურა, აგრეთვე აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება პარტნიორთა კრების და რექტორის აპარატის დებულების შესაბამისად.
4. კანცელარია უზრუნველყოფს უნივერსიტეტისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დოკუმენტებზე მუშაობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში. კანცელარიის ფუნქციები და ამოცანები, მართვის ორგანიზაცია და სტრუქტურა. აგრეთვე კანცელარიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობები რეგულირდება კანცელარიის დებულებით;
5. ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პერონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმიანობის შენახვას, შრომითი ხელშეკრულებების დროულ გაფორმებას, განახლებასა და შენახვას. სხვა უფლებამოსილებებს განყოფილება ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების დებულების შესაბამისად.
6. აღრიცხვა ანგარიშების განყოფილება ახორციელებს უნივერსიტეტის საქმიანობის ფინანსურ უზრუნველყოფას რექტორისა და ფინანსური დირექტორის პირადი ხელმძღვანელობით.
7. იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის იურიდიულ შესაბამისობას საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.
8. დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით.
9. დამხმარე სტრუქტურული ერთეულების დებულებებს ამტკიცებს რექტორი:
 - ა) პარტნიორთა კრების და რექტორის აპარატის დებულებას-აპარატის უფროსის წარდგინებით;

- ბ) კანცელარიის დებულებას-კანცელარიის უფროსის წარდგინებით;
- გ) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების დებულებას-განყოფილების უფროსის წარდგინებით
- დ) სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულის დებულებას-შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარდგინებით.

თავი IX. აკადემიური პერსონალი. მასწავლებელი

მუხლი 20. აკადემიური პერსონალი

1. აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან;
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი;
3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ;
4. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

(ცვლილება რექტორის 2016 წლის 28 იანვრის ბრძანება №01-01/03)

მუხლი 21. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;
2. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო და მასში აღნიშნული უნდა იყოს მოცემული აკადემიური თანამდებობის სპეციფიკური მოთხოვნები.

მუხლი 22. აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის პირობები

1. პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც გააჩნია სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები ადგილობრივ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში ან/და სხვა გამოცემებში. სასურველია კანდიდატი აქტიურად იღებდეს მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.

(ცვლილება რექტორის 2017 წლის 12 იანვრის ბრძანება №01-01/03)

- 1.¹ პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები. კერძოდ აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში. სასურველია კანდიდატს მიღებული ჰქონდეს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. განსაკუთრებული პროფესიული მიღწევების შეფასებას ახდენს საკონკურსო კომისია.

(დამატებულია რექტორის 2017 წლის 12 იანვრის ბრძანება №01-01/03)

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი.
4. ასისტენტის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი.
5. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება განისაზღვროს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
(ცვლილება რექტორის 2016 წლის 28 იანვრის ბრძანება №01-01/03)

მუხლი 23. აკადემიური პერსონალის უფლებები და ვალდებულებები

1. აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:
 - ა) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
 - ბ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო პროგრამების შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;
 - გ) განახორციელოს უნივერსიტეტში მოქმედი წესებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.
2. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:
 - ა) დაიცვას ამ შინაგანაწესის მოთხოვნები;
 - ბ) დაიცვას უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
 - გ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
 - დ) კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.
3. აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი შეუთავსებლობა განისაზღვრება შრომის ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით.

მუხლი 24. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველები

აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა
- გ) უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;
- დ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
- ე) კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები.

მუხლი 25. ამოღებულია რექტორის 28.01.2016 წ. 01-01/03 ბრძანებით

მუხლი 26. ამოღებულია რექტორის 28.01.2016 წ. 01-01/03 ბრძანებით

თავი X. შრომითი ურთიერთობის რეგულირება

მუხლი 27. შრომითი ხელშეკრულება

1. უნივერსიტეტში სამუშაოდ მიღება ხდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

- აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციის თანამშრომლებთან შრომით ხელშეკრულებას აფორმებს რექტორი.
- პირი სამუშაოზე მიღებულად ითვლება შრომითი ხელშეკრულების დადების მომენტიდან.
- შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე ან გაფორმების შემდეგ პირს უფლება აქვს გაეცნოს უნივერსიტეტში მოქმედ წესებს.

მუხლი 28. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

- შრომითი ხელშეკრულება წყდება შრომის კოდექსის, უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- თუ შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით არის დადებული, მაშინ ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება შრომით ხელშეკრულებაში მითითებული ვადის გავლის შემდეგ, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სხვა შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულებაში მითითებულია ვადა, მაგრამ დასაქმებულმა დაარღვია შრომის ხელშეკრულების პირობები, მაშინ შრომის ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება რექტორის ბრძანებაში მითითებული თარიღიდან. ბრძანების ერთი პირი უნდა გადაეცეს დასაქმებულს. თუ გადაცემა შეუძლებელია, უნდა მოხდეს ბრძანების საინფორმაციო დაფაზე საჯაროდ გამოცხადება.
- დასაქმებული (აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციის თანამშრომელი) ვალდებულია 30 კალენდარული დღით ადრე, გამონაკლის შემთხვევებში (ავადმყოფობა ან სხვა ისეთი საპატიო მიზეზები რაც შეუძლებელს ხდის მის სამსახურში გამოცხადებას) 5 სამუშაო დღით ადრე, გააფრთხილოს რექტორი შრომის ხელშეკრულების მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ.
- შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია გადაუხადოს თანამშრომელს შეწყვეტამდე განხორციელებული სამუშაოს ხელფასი.

მუხლი 29. სამუშაო დროის დასაწყისი და დასასრული

- გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში ყოველდღიური სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრება 8 საათით და ერთ საათიანი შესვენებით თუ სასწავლო გრაფიკი განსხვავებულ სამუშაო დროს არ მოითხოვს.
- გამონაკლის შემთხვევაში უნივერსიტეტის თანამშრომელთან ან მოწვეულ პირთან შეთანხმებით შეიძლება დამატებით დაინიშნოს ერთი სამუშაო დღეც.
- ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის მუშაობა იწყება 9.00 საათზე, მთავრდება 18.00 საათზე. რექტორის გადაწყვეტილებით სამუშაოს დაწყების დრო შეიძლება შეიცვალოს. თუ სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია შესვენების გამოყენება, სამუშაო მთავრდება 17.00 საათზე. სამუშაო დროის ხანგრძლივობის ფარგლებში სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო შეიძლება ცალკე განისაზღვროს.
- ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში 6 დღე: ორშაბათი-პარასკევი 9.30 სთ.17.30 სთ, შაბათი - 10.00-16.00 სთ.
- ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის შესვენება არის 13.00-დან 14.00 საათამდე.
- პროფესორ-მასწავლებლების სამუშაო დრო განისაზღვრება სასწავლო გრაფიკის მიხედვით, ინდივიდუალური, რექტორთან შეთანხმებით;
- თუ ადმინისტრაციული თანამდებობის პირს აქვს აკადემიური თანამდებობაც, მაშინ მისი სამუშაო დრო განისაზღვრება ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი დროის

შესაბამისად.

- უქმე დღეების წინ სამუშაო დროის ხანგრძლივობა მცირდება ერთი საათით თუ სასწავლო გრაფიკი განსხვავებულ სამუშაო დროს არ მოითხოვს.

მუხლი 30. სამსახურებრივ საკითხზე განკარგულების დასაქმებულამდე დაყვანის წესი

სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულების (ბრძანების) დასაქმებულისათვის გაცნობა ხდება:

- დანიშნულების მიხედვით, სტრუქტურულ ქვედანაყოფში ბრძანების გაგზავნით;
- ბრძანების ტექსტის გაცნობით, რასაც ხელმოწერით ადასტურებს დასაქმებული;
- ბრძანების სპეციალურ (საინფორმაციო) დაფაზე განთავსებით;
- ბრძანების (განკარგულების) შეტყობინებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტექნიკური საშუალებები (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა და ა.შ.);

მუხლი 31. ხელფასის გაცემის დრო და ადგილი

- ხელფასი გაიცემა უნივერსიტეტში სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ან დაირიცხება თანამშრომლის (მოწვეული პირის) ანგარიშზე.
- ხელფასი გაიცემა თვეში ერთხელ, თვის ბოლოს ან მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

მუხლი 32. შრომის დაცვა, დასაქმებულის უფლება-მოვალეობანი.

- უნივერსიტეტში იქმნება შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები.
- შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა ეკისრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.
- გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებული პირები ვალდებული არიან:
 - დაიცვან ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის, საწარმოო სანიტარიის და შრომის დაცვის წესების მოთხოვნები.
 - დაკისრებული სამუშაო განახორციელონ პროფესიული ჩვევების, ცოდნის და გამოცდილების ჯეროვანი და სრული გამოყენებით;
 - შეასრულონ ხელმძღვანელის ბრძანებები და მითითებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას;
 - იყვნენ კოლეგიალურნი და კორექტულნი კოლეგებთან ურთიერთობაში;
 - თავაზიანად და კორექტულად ეპყრობოდნენ სტუდენტებსა და უნივერსიტეტში მოსულ მოქალაქეებს;
 - დაიცვან ეთიკის კოდექსი და შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
 - წესრიგში ჰქონდეთ სამუშაო ადგილი, უნივერსიტეტის შენობაში და მის ტერიტორიაზე დაიცვან სისუფთავე;
 - გაუფრთხილდნენ უნივერსიტეტის ქონებას, ეკონომიურად გამოიყენონ ელექტროენერგია და სხვა მატერიალური ფასეულობანი;
 - უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევა აკრძალულია, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა
 - დაიცვან უნივერსიტეტში მოქმედი წესები.

მუხლი 33. წახალისება და პასუხისმგებლობა

- უნივერსიტეტში სამსახურებრივ მოვალეობათა კეთილსინდისიერი და სამუშაო შესრულებისათვის გამოყენება წახალისების შემდეგი ფორმები:
 - მადლობის გამოცხადება;
 - ფულადი ჯილდო;

- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.
2. შინაგანაწესის 33-ე მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული წახალისების ორი ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთდროულად.
 3. სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის, სამსახურში დაგვიანების ან გაცდენისათვის გამოიყენება პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები;
 - ა) შენიშვნა;
 - ბ) საყვედური;
 - გ) არაუმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;
 - დ) დროებით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით - არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა;
 - ე) სამსახურიდან გათავისუფლება.
 4. სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისას შეიძლება გამოყენებული იქნეს პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.
 5. შინაგანაწესის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომისგამოყენების დროს უნივერსიტეტში დასაქმებულებთან დაკავშირებით რექტორი გამოსცემს ბრძანებას. აქტის გამოცემაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია შექმნას დროებითი კომისია, რომელსაც დაევალება დაადგინოს ჩაიდინა თუ არა პირმა დისციპლინური გადაცდომა.
 6. რექტორს, აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში, უფლება აქვს შრომის ხელშეკრულების, ან შინაგანაწესის დარღვევისათვის გაათავისუფლოს პირი შინაგანაწესის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტით ა), ბ), და დ) ქვეპუნქტების გამოყენების გარეშე.
 7. რექტორს უფლება აქვს დასაქმებული გათავისუფლების შესახებ გააფრთხილოს ორი კვირით ადრე.

მუხლი 34. სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებული პირი ვალდებულია სამსახურში საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესახებ წინა დღით ან იმავე დღეს სამუშაოს დაწყებამდე აცნობოს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს.

მუხლი 35. შვებულების ხანგრძლივობა და მისი მიცემის წესი

1. შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი განისაზღვრება შრომის კოდექსით, წინამდებარე შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით.
2. შვებულებასთან დაკავშირებით ბრძანებებს გამოცემს რექტორი.
3. შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტიდან ან მანამდე ერთი თვის განმავლობაში დასაქმებულმა წერილობითი ფორმით უნდა მოითხოვოს შვებულება.
4. აკადემიური პერსონალის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება განისაზღვრება 30 სამუშაო დღით.
5. ადმინისტრაციული პერსონალის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება განისაზღვრება 24 სამუშაო დღით, თუ ადმინისტრაციულ პერსონალს ამავე დროს უკავია აკადემიური თანამდებობა, მისი შვებულება განისაზღვრება 30 სამუშაო დღით.
6. დასაქმებულს დამსაქმებელთან შეთანხმებით შეიძლება მიეცეს ანაზღაურების გარეშე შვებულება 15 კალენდარული დღის ოდენობით.
7. დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის

საშუალო ანაზღაურებიდან. თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია, ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან. ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით. საშვებულებო ანაზღაურება გამოითვლება შემდეგი წესით:

- ა) თუ აკადემიურ პერსონალს შვებულების წინა 3 თვეში აქვს სხვადასხვა ხელფასი, აღნიშნულ შემთხვევაში, ამ სამი თვის ხელფასის ჯამი იყოფა 3-ზე და იყოფა შვებულების წინა თვის კალენდარულ დღეთა რაოდენობაზე. მიღებული რიცხვი მრავლდება 30 სამუშაო დღეზე (შვებულების დღეთა რაოდენობაზე).
 - ბ) თუ აკადემიურ პერსონალს აქვს ფიქსირებული ხელფასი, მაშინ ფიქსირებული ხელფასის ოდენობა იყოფა წინა თვის კალენდარულ დღეთა რაოდენობაზე და მრავლდება 30-ზე.
 - გ) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის თუ მათ ყოველთვიურად სხვადასხვა ხელფასი აქვთ იკრიბება სამი თვის ხელფასი, იყოფა 3-ზე. მიღებული საშუალო ხელფასი იყოფა შვებულების წინა თვის სამუშაო დღეთა რაოდენობაზე და მრავლდება 24-ზე.
8. შვებულებაში გასვლის დროს თანამშრომელს ნამუშევარი დროისათვის გასამრჯელო მიეცემა (ან გადაირიცხება შესაბამის ანგარიშზე) სამი სამუშაო დღით ადრე.

თავი XI. სასწავლო პროცესი

მუხლი 36. სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველი

1. უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე - ბაკალავრიატში სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელს, რომელმაც საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაიარა რეგისტრაცია.
2. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება აქვთ საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთაც უცხოეთის ქვეყანაში საშუალო ან მისი ეკვივალენტური განათლების მიღების შედეგად მოიპოვეს ამ ქვეყანაში უმაღლესი განათლების მიღების უფლება და აკმაყოფილებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ პირობებს.
3. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც მიიღო საშუალო ან მისი ეკვივალენტური განათლება.
4. სტუდენტი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდის განმეორებით გავლის შედეგად მოიპოვებს სახელმწიფო სასწავლო გრანტს, სწავლას განაგრძობს იმ ეტაპიდან, რომელზეც იმყოფებოდა ერთიანი ეროვნული გამოცდების განმეორებით ჩაბარებამდე.
5. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდები, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, გააჩნია შესაბამისი

სერთიფიკატი და წარმატებით გადალახა ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრული მისაღები პროცედურა.

მუხლი 37. სტუდენტის აკადემიური დატვირთვა

1. უნივერსიტეტში სწავლება ხორციელდება დღის დასწრებული ფორმით. სასწავლო პროცესის ორგანიზაცია ეფუძნება "კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემას" (ECTS) და მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამებით, რომლებიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის (38 სასწავლო კვირა) განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500-1800 ასტრონომიულ საათს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25-30 ასტრონომიული საათის განმავლობაში. საგანმანათლებლო პროგრამები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის დაუფლებაზე, არამედ მის პრაქტიკულ გამოყენებაზე, სწავლების შედეგებზე - კომპეტენციებზე.
2. სტუდენტის დატვირთვა ერთი სემესტრის განმავლობაში მოიცავს 30 კრედიტს.
3. მობილობით გადმოსული სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეიძლება მოიცავდეს 75 კრედიტს.

მუხლი 38. სწავლის ხანგრძლივობა

1. უნივერსიტეტში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვებას.
2. უნივერსიტეტში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვებას.
3. სემესტრები:
 - 3.3.1. სასწავლო წელი იყოფა ორ - შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებად. სემესტრის ხანგრძლივობას განსაზღვრავს:
 - სააუდიტორიო მეცადინეობების პერიოდი - 15 კვირა;
 - შუალედური შემოწმების პერიოდი - 1 კვირა;
 - სესიები:
 - ა) დასკვნითი გამოცდების პერიოდი - 3 კვირა;
 - ბ) დამატებითი გამოცდები - 2 კვირა;შემოდგომის სემესტრი ითვალისწინებს 1 კვირიან საშობაო არდადეგებს.
 - 3.3.2. დამატებითი გამოცდები ტარდება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე, დასკვნითი გამოცდიდან 10 დღის შემდეგ. სტუდენტს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ დააგროვებს კრედიტების სავალდებულო რაოდენობას და შესაბამისად ვერ მოიპოვებს აკადემიურ ხარისხს, უფლება აქვს თვითდაფინანსებით დაასრულოს პროგრამა.

მუხლი 39. სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია

1. აკადემიური რეგისტრაცია
 - 2.1. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის ვალდებულებას სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საშუალებით აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამიდან ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული ტიპური სასწავლო გეგმა ან არჩევითი საგნების საშუალებით მოახდინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირება.

- 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა შეიცავს სხვადასხვა მოდულებში განაწილებულ შემდეგი ტიპის სასწავლო დისციპლინებს:
 - ა) სავალდებულო (Compulsory) - სასწავლო კურსები, რომელთა შესწავლა სავალდებულოა დროში მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით;
 - ბ) არჩევითი (Electives) - სასწავლო კურსები, რომელთაც სტუდენტი შეისწავლის საკუთარი სურვილის მიხედვით.
- 2.3. სტუდენტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს აკადემიური კონსულტანტის (სასწავლო მენეჯერის, ტუტორის) დახმარებით.
- 2.4. სტუდენტს, ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან შეუძლია შევიდეს სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ვებ-გვერდზე საკუთარი სახელის, გვარისა და საიდენტიფიკაციო პაროლის მითითებით.
- 2.5. სტუდენტი საიდენტიფიკაციო პაროლს იღებს აკადემიურ რეგისტრაციამდე
- 2.6. პაროლის აღსადგენად სტუდენტს შეუძლია მიმართოს ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს.
- 2.7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებისას სტუდენტი ითვალისწინებს, რომ სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამმა სემესტრის განმავლობაში არ გადააჭარბოს 30-ს.
- 2.8. განსაკუთრებულ შემთხვევებში (აკადემიური დავალიანება, მობილობა და სხვა) სტუდენტის სემესტრული დატვირთვა შეიძლება იყოს 30 კრედიტზე მეტი, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 38 კრედიტს (წლიური 75 კრედიტი).
- 2.9. სასწავლო კურსების არჩევისას სტუდენტი ვალდებულია გაითვალისწინოს სილაბუსების წინაპირობებში მოცემული სასწავლო კურსების ჩამონათვალი.
- 2.10. სასწავლო პროცესის მართვის სისტემა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს აირჩიოს როგორც სასწავლო კურსები, ასევე შესაბამისი სასწავლო კურსების პროფესორ-მასწავლებლები.
- 2.11. ფაკულტეტი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად განსაზღვრავს:
 - ა) სტუდენტთა იმ განსაზღვრულ რაოდენობას, რომელთა აკადემიური რეგისტრაციის შემდეგ აუცილებელი ხდება არჩეული დისციპლინის სასწავლო პროცესში ჩართვა;
 - ბ) თითოეული პედაგოგისათვის – ჯგუფში სტუდენტების განსაზღვრულ რაოდენობას;
- 2.12. პედაგოგთან ჩაწერილ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრულ მნიშვნელობაზე გადაჭარბების შემთხვევაში სასწავლო პროცესის მართვის სისტემა ამ სასწავლო კურსისთვის ნიშნავს რეიტინგით შემდგომ პოზიციაზე გასულ მქონე პედაგოგს. ამასთან სტუდენტების განაწილება ჯგუფებში ხდება ჩაწერის თანმიმდევრობის გათვალისწინებით.
- 2.13. სტუდენტის მიერ აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელია წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველს.
- 2.14. ფაკულტეტის დეკანატი საინფორმაციო დაფაზე და ვებ-გვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას სტუდენტების აკადემიური რეგისტრაციის შესახებ.
- 2.15. სასწავლო წლის დაწყებამდე (არა ნაკლებ 4 კვირისა) რექტორი ბრძანებით განსაზღვრავს აკადემიური რეგისტრაციის ვადებს და ამტკიცებს სასწავლო პროცესის კალენდარულ გეგმას.
- 2.16. აკადემიური რეგისტრაციის შემდეგ, დეკანის წარდგინებით გამოცემული რექტორის ბრძანებით ხორციელდება სტუდენტების დაშვება საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ ეტაპზე.

მუხლი 40. საგანმანათლებლო პროგრამაში სპეციალობის (სპეციალიზაციის) სასწავლო მოდულის და სასწავლო კურსების არჩევის გამჭვირვალობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს, მიმართულების მოდულით გათვალისწინებული კრედიტების დაგროვების შემდეგ აირჩიოს პროგრამაში შეთავაზებული სპეციალობის მოდულებიდან ერთ-ერთი.

სპეციალობის მოდულებზე გადანიშნულების საფუძველია სტუდენტის პირადი სურვილი და აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი. არჩეული მოდული სტუდენტს საშუალება აძლევს განახორციელოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირება სპეციალობის შესაბამისი სასწავლო კურსების კონცენტრაციით.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არჩევითი სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, სტუდენტს საშუალება ეძლევა შეარჩიოს მისთვის სასურველი არჩევითი საგნები საფაკულტეტო და მიმართულების მოდულების არჩევითი სასწავლო კურსების მოდულებიდან. გარდა ამისა, სტუდენტს საშუალება ეძლევა თავისუფალი კრედიტების კონცენტრაციის მოდულიდან აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ორგანიზება ხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:

- სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი დისციპლინებიდან არჩევის სრული თავისუფლება;
 - სტუდენტის პირადი მონაწილეობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში;
 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში ტუტორების (აკადემიური კონსულტანტების) ჩართვა.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებისას სტუდენტი სრულად ითვალისწინებს სასწავლო კურსებს, რომლებიც ჩამოთვლილია არჩეული სასწავლო კურსის სილაბუსების შესწავლის წინაპირობაში. სასწავლო კურსების სპეციფიკის მიხედვით სტუდენტს შეუძლია როგორც სასწავლო კურსების, ასევე კურსების წამყვან პროფესორ-მასწავლებლების არჩევა. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში კრედიტების რაოდენობა წელწადში არ უნდა აღემატებოდეს 60-ს (სემესტრში - 30-ს).
 3. სასწავლო გეგმის ფორმირებისათვის სტუდენტი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებამდე, დადგენილი წესით ფაკულტეტზე გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია.
 4. სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგი სახით:
 - ა) სტუდენტი სემესტრების სასწავლო გეგმის ფორმირებას ახორციელებს სემესტრის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 კვირისა;
 - ბ) სასწავლო კურსების (მოდულების) და პროფესორ/მასწავლებლის არჩევის პროცესში ფაკულტეტი განსაზღვრას:
 - სტუდენტთა რაოდენობას, რომელთა აკადემიური რეგისტრაციის შემდეგ ხდება სასწავლო კურსის/მოდულის სწავლება;
 - სასწავლო კურსის წამყვან ერთ პროფესორ/მასწავლებელთან დასაშვებ სტუდენტთა რაოდენობას, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში ფაკულტეტი სასწავლო კურსის ლექტორად ნიშნავს არჩევითობით მეორე პოზიციაზე მყოფი პროფესორს.
 5. ფაკულტეტის დეკანატი უზრუნველყოფს საინფორმაციო დაფაზე და ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებას სტუდენტების აკადემიური რეგისტრაციის შესახებ.

6. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობა

- ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, სტუდენტს შეუძლია და აქვს საშუალება გაეცნოს საგანმანათლებლო (კურიკულუმი) და სასწავლო კურსის პროგრამებს (სილაბუსი);
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების გაცნობა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (საგანმანათლებლო პროგრამები და კატალოგი);
- გ) სტუდენტს შეუძლია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობიდან გამომდინარე, სემესტრის დაწყებამდე, შეთავაზებული არჩევითი საგნების მოდულიდან გააკეთოს არჩევანი;
- დ) სტუდენტის მიერ გაკეთებული არჩევანის დარეგისტრირების ფორმებია ვებ-გვერდი ან სპეციალური რეგისტრაციის ფორმა;

მუხლი 41. სტუდენტის შეფასების სისტემა

1. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი; 2005.14.02); "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი	A – "ფრიადი"
მაქსიმალური შეფასების 81-90%	B – "ძალიანკარგი"
მაქსიმალური შეფასების 71-80%	C – "კარგი"
მაქსიმალური შეფასების 61-70%	D – "დამაკმაყოფილებელი"
მაქსიმალური შეფასების 51-60%	E – "საკმარისი"

და ორი სახის უარყოფით შეფასებას: ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 41-50%	Fx – "ვერ ჩააბარა"
მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები	F – "ჩაიჭრა"

- 2. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტის ათვისებას ადასტურებს სილაბუსით დაგეგმილი სამუშაოების შესრულებაში მიღებული დადებითი შეფასება.
- 3. უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ცოდნის აკუმულირებისა და სისტემატური შეფასების პრინციპს, რომლის მიხედვითაც, დაუმზებელია შეფასება:
 - ა) მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე;
 - ბ) მხოლოდ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამის საფუძველზე.
- 4. სტუდენტის სემესტრული შეფასებას განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და

დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი. ამასთან, დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით, ხოლო შუალედური შეფასებები - 60 ქულით.

4.1. შუალედური შეფასებების ქულათა ჯამს სემესტრის განმავლობაში სტუდენტი შემდეგ კომპონენტებში დააგროვებს:

- ა) ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დასწრება;
- ბ) აქტივობა;
- გ) დამოუკიდებლად შესრულებელი სამუშაო;
- დ) შუალედური შემოწმება.

5. შუალედური შეფასებების კომპონენტები:

- ა) ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დასწრება ფასდება 5 ქულით, რასაც განაპირობებს სტუდენტის მიერ მოსმენილი სააუდიტორიო საათების პროცენტული რაოდენობა;
- ბ) აქტივობა – ფასდება 15 ქულით და გულისხმობს ლექციებზე, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე ლექტორის მიერ დაგეგმილ სამუშაოებში (სემინარი, კოლოკვიუმი, პრეზენტაცია, ქეისი, საკონტროლო წერა, ტესტური შემოწმება და სხვ.) სტუდენტის მონაწილეობა/ჩართულობასა და ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენას. სამუშაოთა ტიპი, რაოდენობა (არანაკლებ ხუთისა), ჩატარებისა და შეფასების მეთოდები (ინტერაქცია, დისკუსია, დებატი, ღია წიგნი და სხვ.) და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში;
- გ) დამოუკიდებლად შესრულებელი სამუშაო (კაზუსი, რეფერატი, ნარკვევი, ესსე, პროექტი და ა.შ.) ფასდება 20 ქულით. მოწმდება სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების შედეგად სტუდენტის მიერ გამოვლენილი ცოდნა, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევა. სამუშაოთა ტიპი, რაოდენობა, ჩატარებისა და შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში;
- დ) შუალედური შემოწმება - სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საშუალოდ შეფასებაა, რომელიც სემესტრში ერთხელ, მე-8 კვირაში, ტარდება წერითი ან შერეული ფორმით და ფასდება 20 ქულით. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში;

6. დასკვნითი გამოცდა

- ა) დასკვნითი გამოცდა (წერითი ან შერეული ფორმით) ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში;
- ბ) სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებით დაგროვილი ქულათა ჯამი შეადგენს 11-ს ან მეტს;
- გ) დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა – 40;
- დ) დასკვნითი გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა და მეტი;
- ე) თუ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტმა დაიმსახურა დადებითი შეფასება, მაგრამ მისი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს 41-50 (Fx) სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;
- ვ) თუ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტმა ვერ დაიმსახურა დადებითი შეფასება, მაგრამ მისი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი ტოლია ან აღემატება 41-ს, სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;
- ზ) თუ დასკვნითი გამოცდის და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამი შეადგენს 40 და ნაკლებს (F) სტუდენტი დამატებით გამოცდაზე არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება “F” (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით;
- თ) დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

7. დამატებითი გამოცდა

- ა) სტუდენტს უფლება აქვს დამატებითი გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღის შემდეგ;
- ბ) დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტი შეფასდება 0 ქულით და მისი სემესტრული შეფასება იქნება „F” (ჩაიჭრა);
- გ) დამატებით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი შეფასება ავტომატურად განსაზღვრავს სტუდენტის შესაბამის სემესტრულ შეფასებას - 0 ქულა - „F” (ჩაიჭრა);
- დ) თუ დამატებით გამოცდაზე სტუდენტმა დაიმსახურა დადებითი შეფასება, მაგრამ მისი შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს „Fx“-ის (ვერ ჩააბარა) ან „F“-ის (ჩაიჭრა) შესაბამის ქულებს, მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება „F” (ჩაიჭრა), 0 ქულით.

8. სემესტრული შეფასება

- ა) დადებითი სემესტრული შეფასების მისაღებად სტუდენტი ვალდებულია, დასკვნითი ან დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასების შედეგებით დააგროვოს 51 ქულა ან მეტი.
- ბ) უარყოფითი სემესტრული შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტი ხელმეორედ გაივლის სასწავლო კურსს, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ ვალდებულებასთან.
- გ) საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების ან მათ ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების, პრაქტიკის ანგარიშის, საპროექტო სამუშაოს შეფასება უნდა განხორციელდეს 1.1. პუნქტში გათვალისწინებული სქემის მიხედვით.
- დ) საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მომდევნო სემესტრის სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაცვაზე დამატებით გასვლა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და სათანადო დოკუმენტის წარდგენით.
- ე) ინდივიდუალური წესით დამატებით გამოცდის გრაფიკს, დეკანის წარდგინების საფუძველზე, ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

9. განსაკუთრებული შემთხვევები

- ა) ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებებზე, დასკვნით ან დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობა, სათანადო დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, დეკანატის გადაწყვეტილებით, სტუდენტს ეთვლება საპატიოდ და მას ნება ეძლევა:
 - დეკანატის მიერ დადგენილ ვადებში დაფაროს აკადემიური დავალიანება;
 - უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, კიდევ ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

მუხლი 42. სასწავლო კურსის განმეორებითი შესწავლა

1. სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლა სტუდენტს აკისრებს ფინანსურ ვალდებულებას, რომლის ოდენობას განაპირობებს, სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო კურსზე მიკუთვნებული კრედიტების რაოდენობა. სახელდობრ, კრედიტების რაოდენობა მრავლდება ერთი კრედიტის ღირებულებაზე.
2. ერთი კრედიტის ღირებულება განისაზღვრება მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის ერთი წლის სწავლების საფასურის გაყოფით 60-ზე (წლის განმავლობაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა). მაგალითად, თუ სასწავლო კურსს მიკუთვნილი აქვს 10 კრედიტი, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის ერთი წლის სწავლების ღირებულებაა 3000 ლარი, მაშინ ერთი კრედიტის ღირებულება იქნება $3000:60=50$ ლარი და შესაბამისად, დისციპლინის განმეორებითი შესწავლა

სტუდენტს აკისრებს 500 ლარის ფინანსურ ვალდებულებას.

3. სტუდენტს სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლის ორი შესაძლებლობა აქვს. სავალდებულო სასწავლო კურსში ორი დამატებითი მცდელობით დადებითი შეფასების მიუღებლობა წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს.
4. სტუდენტს უფლება აქვს დამამთავრებელ სასწავლო წელს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ადრე მიღებული ნებისმიერი სასწავლო კურსის შეფასების ამალგების მიზნით გადააბაროს 3 სასწავლო კურსი.

მუხლი 43. სწავლის საფასური

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური განისაზღვრება სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით.
2. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელის სწავლის გადასახადის ოდენობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სასწავლო გრანტის ოდენობასა და სწავლების გადასახადს შორის სხვაობის გათვალისწინებით.
3. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს უნარჩუნდება ხელშეკრულებით დადგენილი სწავლის საფასური.
4. დამატებით სემესტრებში სწავლის საფასური განისაზღვრება ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე არჩეული საგნების კრედიტების მოცულობის ან სემესტრული გადასახადის შესაბამისად.

მუხლი 44. შიდა მობილობა

1. შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს გთსუ.
2. სტუდენტს უფლება აქვს უნივერსიტეტის ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან გადავიდეს უნივერსიტეტის მეორე საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი საფეხურის ფარგლებში (შიდა მობილობა).
3. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა:
 - ა) შიდა მობილობით სარგებლობა სტუდენტს შეუძლია უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში;
 - ბ) შიდა მობილობით სარგებლობის უფლება სტუდენტს ენიჭება სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.
4. შიდა მობილობით სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს წელიწადში 2-ჯერ როგორც წესი სასწავლო სემესტრების დაწყებამდე; შიდა მობილობის წინა პირობას წარმოადგენს სტუდენტის მიერ განვლილი პროგრამის შესაბამისობის დადგენა ახალ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

(რექტორის 2012 წლის 25 სექტემბერის ბრძ.№01-01/57)

(რექტორის 2017 წლის 12 იანვარის ბრძ.№01-01/03)

5. მობილობის განხორციელებისათვის სტუდენტი უნივერსიტეტის რექტორს მიმართავს შესაბამისი განცხადებით. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით ახდენს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარებას, განსაზღვრავს ახალი პროგრამის რომელი ეტაპიდან გააგრძელებს სწავლას სტუდენტი და სემესტრის დაწყებამდე წარუდგენს რექტორს რეკომენდაციას სტუდენტის შიდა მობილობის წესით გადაყვანის თაობაზე. პროგრამების შესამაბისობის დასადგენად გამოიყენება ამ დებულებით დადგენილი წესები.
6. შიდა მობილობით გადასულ სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება შესაბამისი

(მიმღები) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასურის მიხედვით. პროგრამული თავსებადობისთვის აუცილებელი დამატებითი კრედიტების ასათვისებლად მას დაეკისრება დამატებითი კრედიტების/დამატებითი სემესტრის სწავლის საფასურის გადახდა.

7. შიდა მობილობით სტუდენტის გადაყვანა ფორმდება გთსუ-ს რექტორის ბრძანებით.

მუხლი 45. მობილობით ჩარიცხვის და კრედიტების აღიარების წესი

1. მობილობის ვადებს განსაზღვრავს განათლების და მეცნიერების სამინისტრო.
2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც განათლების ხარისხის განვითარების ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

მუხლი 46. მობილობის უფლების შეზღუდვა

1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის სამედიცინო განათლებისა და ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაწესებულება ლიკვიდირებული იქნა უფლებამონაცვლისგან საზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.
3. სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, განათლების და მეცნიერების სამინისტრო.

მუხლი 47. მობილობის მსურველთა რეგისტრაციის პროცედურა

1. მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციით.
2. სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 5 ფაკულტეტის ან საგანმანათლებლო პროგრამისა. რამდენიმე ფაკულტეტსა ან საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისას იგი ვალდებულია განსაზღვროს მათი პრიორიტეტულობა.

მუხლი 48. უნივერსიტეტში მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვება

1. თუ უნივერსიტეტის რომელიმე ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ უნივერსიტეტის მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა

მსურველთა შესაბამის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება მიმღები დაწესებულების მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია 2 ან მეტი სტუდენტი, უნივერსიტეტი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის ადგილის/ ადგილების დამატების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტში არ არსებობს სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში ვაკანტური ადგილი, უნივერსიტეტის მიმართვის საფუძველზე ცენტრი უმატებს მას სტუდენტთა მისაღებ ადგილებს იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი მობილობის მსურველების ჩასარიცხად. ამ შემთხვევაში დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება უნივერსიტეტისათვის მომდევნო სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.
3. მობილობის მსურველი მოიპოვებს შესაბამისი დაწესებულების ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მის მიერ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით, ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით დადგენილი წესით.
4. იმ პირთა ერთიანი სია, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი დაწესებულების შესაბამის ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე, ქვეყნდება ელექტრონულ პორტალზე, რის შემდეგაც მობილობის მსურველი უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს მიმღებ დაწესებულებას ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან ერთვის საგანმანათლებლო დოკუმენტის, რომლის საფუძველზე პირი ჩარიცხვა დაწესებულებაში, და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები. დაუშვებელია ამ პუნქტით გათვალისწინებული ასლების მიღებაში ხელის შეშლა.
5. მობილობის მსურველი, რომელიც უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებისა.

მუხლი 49. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა (კრედიტების აღიარება)

1. უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი სასწავლო კურსების თავსებადობის შესახებ.
2. თავსებადობას (აღიარებას) ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვაც განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
4. თავისუფალი კრედიტების ფარგლებში დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო

პროგრამით.

5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული საკრედიტო სისტემის შესაბამისად.
6. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომლის საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებული იქნას სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა.
7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა. ამ თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.
8. მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს უფლება აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ყოველწლიურად დამატებით აითვისოს არ აღიარებული 15 კრედიტი. სასწავლო კურსების თავსებადობის (კრედიტების) აღიარება ფორმდება ფაკულტეტის საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.
9. არ აღიარებული კრედიტების აღდგენა სტუდენტს აკისრებს დამატებით ფინანსურ ვალდებულებას.
10. მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით რექტორი გამოსცემს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის თაობაზე.

მუხლი 50. სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებული აქტების გამოცემა

1. უნივერსიტეტი ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რის შემდეგაც ცენტრი ამოწმებს დაწესებულების ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას ამ წესის მოთხოვნებთან, რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. ცენტრი უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.
2. ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა დაწესებულების ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება ცენტრში.
3. რეესტრის მონაცემების საფუძველზე, იმ დაწესებულების მიერ, საიდანაც გადადის სტუდენტი, გამოიცემა ბრძანება სხვა დაწესებულებაში ჩარიცხული პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის

საფუძველზე იგი ამ დაწესებულებაში ჩაირიცხა, და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად ცენტრს წარედგინება 7 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 7 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. (რექტორის 2012 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №01-01/57)

4. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩაირიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 7 დღის ვადაში იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში და შესაბამისი სტუდენტის მობილობა აისახება რეესტრში.

მუხლი 51. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველები
 2. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
 3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველებია:
 - ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
 - ბ) აკადემიური შვებულება;
 - გ) ავადმყოფობა, რომელიც გამორიცხავს სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას;
 - დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
 - ე) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
 - ვ) ფინანსური დავალიანება;
 - ზ) მობილობის საფუძველზე ჩაირიცხული სტუდენტის მიერ პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის დედნების წარმოუდგენლობა. (რექტორის 2014 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №01-01/62)
 - თ) ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის არ გავლა; (რექტორის 2015 წლის 26 ივნისის ბრძანება №01-01/57)
4. სტუდენტს აკადემიური შვებულება ეძლევა:
 - ა) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, არაუმეტეს სამი წლის ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროგრამის მეტი ხანგრძლივობა;
 - ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო;
 - გ) ორსულობისა და ახალშობილთა მოვლის გამო (არაუმეტეს 4 სემესტრისა);
 - დ) სხვა საპატიო მიზეზით, ფაკულტეტის საბჭოს მიერ კონკრეტული განცხადების განხილვის საფუძველზე მიღებული დადგენილების შესაბამისად.
 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი.
 6. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა

რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

მუხლი 52 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- გ) ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში სამი მცდელობით დადებითი შეფასების მიუღებლობა;
- დ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;
- ე) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებებით;
- ვ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
- ზ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში;
- თ) გარდაცვალება;

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები (ვ) და თ) პუნქტების გარდა) დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.

მუხლი 53. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. 2010 წლის 5 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია, მიმართოს გათუ-ს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ უნივერსიტეტში, სადაც პირს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

3. ამოღებულია რექტორის 2012 წლის 3 დეკემბრის ბრძან. №01-01/74

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია მხოლოდ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე. სტუდენტის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხვის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს თუ რა ეტაპიდან განაგრძობს სწავლას სტუდენტი, მის მიერ ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობით და შეუსაბამობით იმ პროგრამასთან, რომელზეც სურს სწავლის გაგრძელება.

მუხლი 54. სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

1. სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ხარისხიანი უმაღლესი განათლება;
 - ბ) მონაწილეობა მიიღოს ფაკულტეტის მართვაში;
 - გ) თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
 - დ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;
 - ე) ისარგებლოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითობის პრინციპით და მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში;
 - ვ) მოითხოვოს საკუთარი მიღწევების სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს საგამოცდო შედეგი; სტუდენტის საჩივარს განიხილავს რექტორის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.
 - ზ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე;
 - თ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტსა და ფაკულტეტის შესახებ;
 - ი) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;
 - კ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ღიად ან ფარულად აირჩიოს და იყოს არჩეული უნივერსიტეტის, ფაკულტეტის წარმომადგენლობით ორგანოებში ან სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებში;
 - ლ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი;
 - მ) ისარგებლოს სტუდენტის აკადემიური მობილობით;
 - ნ) მოქმედი კანონმდებლობით და/ან უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება ან სხვა სახის შეღავათი;
 - ო) გააპროტესტოს გამოცდის შედეგები გამოქვეყნებიდან (ვებ-გვერდზე განთავსება) მომდევნო სამუშაო დღეს, წერილობით, ფაკულტეტის დეკანთან.
 - პ) ფაკულტეტის დეკანი ვალდებულია 3 სამი დღის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც უნივერსიტეტში გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
2. სტუდენტი ვალდებულია:
- ა) განუხრელად იცავდეს ეთიკის კოდექსს და უნივერსიტეტში მოქმედ სხვა წესებს;
 - ბ) მითითებულ ვადებში გაიაროს და აკადემიური რეგისტრაცია;
 - გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაფაროს სწავლის ღირებულება.

მუხლი 55. დამატებითი სემესტრი

1. სტუდენტს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვებს შესაბამის აკადემიურს ხარისხს, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრების განმავლობაში.
2. დამატებით სემესტრში სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე შესასწავლი სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების შესაბამისად, მიმდინარე სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამის ღირებულების მიხედვით.

მუხლი 56 . საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოპოვებული კრედიტების აღიარება

1. საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოპოვებული კრედიტების აღიარება ხდება კანონმდებლობით და უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად.

მუხლი 57. აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომი/მოწმობა

1. საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების და

ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემდეგ, კურსდამთავრებულს ენიჭება ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. აკადემიურ ხარისხს/ კვალიფიკაციას დადგენილი წესის თანახმად ანიჭებს შესაბამისი ფაკულტეტი. აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

2. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი.
3. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES -ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“. სტუდენტს, რომლის GPA ტოლია ან მეტი 3.64 ეძლევა დიპლომი „წარჩინებით“.
4. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

მუხლი 58. სასწავლო კურსების კოდების სისტემა

1. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ECTS ევროპულ სისტემას გამჭვირვალეს და გასაგებს ხდის კრედიტების განაწილებაში სასწავლო კურსების ჯგუფების და დონეების გათვალისწინებას. საგანმანათლებლო პროგრამა (სასწავლო გეგმა) შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა მოდულებში განაწილებულ სასწავლო კურსების ორ ჯგუფს:

- ა) Compulsory - სავალდებულო სასწავლო კურსების ჯგუფი;
- ბ) Electives სასწავლო კურსები, რომელთაც სტუდენტი შეისწავლის საკუთარი სურვილის მიხედვით.

სასწავლო კურსების დაყოფას დონეების მიხედვით შეიძლება შემდეგი სახე ჰქონდეს:

- ა) Basic – საბაზისო დონის კურსი, ითვალისწინებს სასწავლო კურსის შესწავლას ზოგად დონეზე;
- ბ) Intermediate – საშუალო დონის კურსი (განკუთვნილია საბაზისო დონის გასაღრმავებლად);
- გ) Specialized – სპეციალური დონის კურსი (განკუთვნილია კონკრეტულ სფეროში ან კონკრეტულ დისციპლინაში ცოდნისა და გამოცდილების ფორმირებისათვის);
- დ) Advanced - მაღალი დონის კურსი (განკუთვნილია პროფესიონალური ცოდნის შემდგომ გასაღრმავებლად);

სასწავლო კურსების კოდში სიმბოლოებად გამოყენებულია დისციპლინის თვისებების ინგლისური დასახელების პირველი სიმბოლოები, ხოლო თანმიმდევრობის სქემა მოცემულია ცხრილში.

სასწავლო კურსების	სასწავლო	კრედიტების რაოდენობა	კვირაში საათების	სალექციო რაოდენობა	პრაქტიკული	საკონსულტაციო საათების
C	I	5	3	1	2	1

მაგალითად, დისციპლინის ცხრილში მოცემული კოდი CI 5-3-1-2-1 ითვალისწინებს სტუდენტის მიერ არჩეულ სავალდებულო (Compulsory), საშუალო დონის (Intermediate) 5 კრედიტის მქონე სასწავლო კურსს, რომლისთვისაც: კვირაში საათების რაოდენობა არის 3, სალექციო საათების რაოდენობა კვირაში არის 1, პრაქტიკული საათების რაოდენობა კვირაში არის 2 და საკონსულტაციო საათების რაოდენობა კვირაში არის 1.

58.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი სწავლის შესაძლებლობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების მიხედვით სწავლის ხარისხის გაუმჯობესების, საზოგადოებისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზების, მიზნით უნივერსიტეტმა შეიძლება მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების გადაწყვეტილება.
 2. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით.
 3. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია, სწავლა გააგრძელოს სრულყოფილ, შეცვლილ საგანმანათლებლო პროგრამაზე. უნივერსიტეტი თითოეული სტუდენტისათვის განსაზღვრავს შესაბამისობებს არსებულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესწავლილ და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს შორის და საჭიროების შემთხვევაში, მისცემს სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის შესაძლებლობას.
 4. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლით დამატებითი სემესტრის განპირობების შემთხვევაში სტუდენტი თავისუფლდება სწავლის გადასახადისგან (ინდივიდუალური გეგმით სწავლებისას).
 5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია სწავლა გააგრძელოს:
 - ა) გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად პროგრამაზე (არსებობის შემთხვევაში);
 - ბ) იმ უნივერსიტეტების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლებთანაც გთსუ-ს გაფორმებული აქვს შეთანხმება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების აღიარების თაობაზე და რომლის შესაბამისადაც განხორციელდება შესაბამის უნივერსიტეტში სტუდენტთა გადაყვანა;
 - გ) პუნქტების ა) და ბ)-ს განუხორციელებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიღევად რეჟიმში სწავლებას, ყველა გაუქმებული პროგრამის ყველა სტუდენტის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე.
 6. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი პროგრამის გაუქმებამდე ახდენს სტუდენტების ინფორმირებას და დეტალურად აცნობს მათ ინფორმაციას მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მობილობის პროცედურის ყველა აუცილებელი ასპექტის შესახებ.
- (ცვლილება მე-XI-ე თავის 36-58 მუხლებში-რექტორის 2011 წ. 4 ოქტომბრის 01-01/52 ბრძანებით)
 - (ცვლილება მე-XI-ე თავის 36-58 მუხლებში-რექტორის 2012 წ. 27 თებერვლის 01-01/07 ბრძანებით)

მუხლი 59. სტუდენტთა თვითმმართველობა და მისი უფლებამოსილებები

1. უნივერსიტეტში ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება ფაკულტეტის მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა.
2. სტუდენტური თვითმმართველობას აქვს დებულება, რომელიც ერთობლივად არის შემუშავებული ფაკულტეტებზე არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის მიერ.
3. სტუდენტური თვითმმართველობა:
 - ა) ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას;
 - ბ) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში;
 - გ) ირჩევს წარმომადგენელს ფაკულტეტის საბჭოში;
 - დ) ახორციელებს კანონმდებლობითა და თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 60. უნივერსიტეტში მოქმედი წესებისა და კანონმდებლობის დარღვევისათვის სტუდენტის დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები.

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა არის იძულებითი ღონისძიება რომელიც შეიძლება დაეკისროს სტუდენტს მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო.
2. დისციპლინური გადაცდომა არის სტუდენტთა ეთიკის კოდექსი, სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი წესების დარღვევა.
3. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია:
 - ა) გაფრთხილება;
 - ბ) საყვედური
 - გ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
4. გაფრთხილება, საყვედური და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის ძირითად ზომას. სტუდენტს არ შეიძლება ერთდროულად დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობის ორი ან მეტი ზომა.
5. გაფრთხილება გამოყენებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როცა სტუდენტი დაარღვევს ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნებს, გარდა ამავე მუხლის 2.9., 2.10., 2.14., 2.17., 2.21., 2.23. პუნქტებისა.
6. საყვედური გამოყენებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევისთვის, როდესაც სტუდენტი დაარღვევს ეთიკის კოდექსის 2.9., 2.10., 2.14., 2.17., 2.21,2.23. მუხლებს.
7. სტუდენტს შეუწყდება სტატუსი თუ ის განმეორებით დაარღვევს ეთიკის კოდექსის მე- 2 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
8. დისციპლინარული გადაცდომა განმეორებით ჩადენილად ითვლება, თუ ის მოხდა ფაკულტეტის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში.
9. გაფრთხილება და საყვედური შეიძლება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ბრძანებით მოიხსნას 1 წელზე ადრე, სტუდენტის მიერ სწავლაში მიღწეული მაღალი შედეგების გათვალისწინებით.
10. სტუდენტს უფლება აქვს გადაწყვეტილება მისი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გაასაჩივროს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.
11. სტუდენტი მოვალეა:
 - ა) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა;
 - ბ) დაიცვას მასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები, უნივერსიტეტში მოქმედი შინაგანაწესი და სტუდენტის ეთიკის კოდექსი.

მუხლი 61. დისციპლინარული დევნა

- სტუდენტის უნივერსიტეტში მოქმედი წესების და სტუდენტთა ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შემდეგი წესების გათვალისწინებით:
 - საქმისგამოკვლევა;
 - ფაკულტეტის საბჭოს მიერ საქმის განხილვის დაწყება;
 - ფაკულტეტის საბჭოს მიერ მტკიცებულებების გამოკვლევა და გადაწყვეტილების მიღება.
- საქმეს იკვლევს დეკანის მიერ ფაკულტეტის საბჭოს წევრთაგან დანიშნული პირი.
- სტუდენტი, აკადემიური თუ ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, ასევე უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალი თუ ის გახდა მოწმე იმ გარემოებისა, რომ სტუდენტმა დაარღვია უნივერსიტეტში მოქმედი წესები ან სტუდენტთა ეთიკის კოდექსი, ვალდებულია წერილობით აცნობს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს აღნიშნული ფაქტის შესახებ.
- აღნიშნულ ფაქტზე გამოკვლევა უნდა დაიწყოს 1 თვის ვადაში იმ დღიდან, როცა ფაკულტეტის საბჭოსათვის ცნობილი გახდა აღნიშნული ფაქტის შესახებ.
- დეკანის მიერ დანიშნულ პირს უფლება აქვს მოსთხოვოს დარღვევაში ეჭვმიტანილ სტუდენტს ახსნა-განმარტება, ასევე გამოკითხოს სხვა სტუდენტები და უნივერსიტეტში მომუშავე პერსონალი. იგი ვალდებულია ასევე მოიძიოს, როგორც მისი გამამართლებელი, ასევე მის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი წესების დარღვევის დამამტკიცებელი სხვა მასალა.
- საქმის განხილვის დროს შეიძლება შემდეგი მტკიცებულებების გამოყენება: ახსნა-განმარტება, წერილობითი მტკიცებულებები, ნივთიერი მტკიცებულებები და მოწმეთა განმარტებები. ახსნა-განმარტება არის უნივერსიტეტში მოქმედი წესების დარღვევაში ეჭვმიტანილი პირის მიერ გაკეთებული განცხადება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით; წერილობით მტკიცებულებას წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც თავისი შინაარსით შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ; ნივთიერი მტკიცებულებებია ნივთები, რომლებიც თავისი ხარისხით, თვისებებით ან არსებობით წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენის საშუალებას; მოწმეთა ჩვენება არის სტუდენტებისა და უნივერსიტეტში დასაქმებულ პირთა განცხადებები.
- მოძიებული მასალების საფუძველზე საქმის გამომკვლევმა პირმა უნდა გააკეთოს დასკვნა ჩაიდინა თუ არა სტუდენტმა დისციპლინური დარღვევა. დასკვნა წარდგენილ უნდა იქნეს ფაკულტეტის საბჭოზე. ფაკულტეტის საბჭო დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას.
- ფაკულტეტის საბჭო:
 - აღიარებს გადაწყვეტილებას, სტუდენტისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
 - იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ;
 - საქმის მასალებს დამატებით გამოსაკვლევად უბრუნებს საქმის გამომკვლევ პირს.
- სტუდენტის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების თაობაზე რექტორი, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოსცემს ბრძანებას. თუ რექტორი არ გამოსცემს ბრძანებას სტუდენტი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

10. სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს თავისი საქმის განხილვას ფაკულტეტის საბჭოში, წარმოადგინოს თავის გამამართლებელი მტკიცებულებები და ისარგებლოს კანონით მინიჭებული სხვა უფლებებით.
11. გადაწყვეტილება ფაკულტეტის საბჭოსგამოაქვს დამსწრე პირთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გამოყოფის შემთხვევაში სტუდენტის მიმართარში ეძლევა გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
12. ფაკულტეტის საბჭოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, სტუდენტის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში 1 თვის ვადაში მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან. გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.
13. თუ სტუდენტი წერილობით ან ზეპირად განაცხადებს უარს ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, მას აღარ აქვს უფლება აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივროს აკადემიურ საბჭოში.
14. სტუდენტს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს ფაკულტეტის საბჭოს მიერ მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება აკადემიურ საბჭოსთვის მიმართვის გარეშე.
15. სტუდენტის საჩივარი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ უნდა შეიცავდეს:
 - ა) იმ პირის ვინაობას და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი;
 - ბ) იმ ორგანოს დასახელებას, რომლის სახელზედაც არის შედგენილი საჩივარი;
 - გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებას და მითითებას გადაწყვეტილების გამომტან ორგანოზე;
 - დ) მითითებას გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებს საჩივარს და მითითებას მტკიცებულებებზე რომლებიც ადასტურებს ამ გარემოებებს.
16. აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილი დროებითი კომისია გადაწყვეტილებას ამოწმებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით; თუ რამდენად სწორად დაადგინა ფაკულტეტის საბჭომ ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, ჩაიდინა თუ არა სტუდენტმა დისციპლინარული გადაცდომა და სწორად შეუფარდა თუ არა ამ შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
17. სტუდენტს შეუძლია დროებითი კომისიის მიერ საჩივრის განხილვისას დასკვნის საფუძველზე აკადემიური საბჭოს მიერ დაგაწყვეტილების გამოტანამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას თავის საჩივარზე. აღნიშნულ შემთხვევაში აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით საჩივარზე წარმოება შეწყდება. აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრდება.
18. სტუდენტს შეუძლია დროებითი კომისიის მიერ საქმის განხილვისას წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებანი, რომელიც მას არ წარმოუდგენია ფაკულტეტის საბჭოში საქმის განხილვის დროს.
19. აკადემიური საბჭოს დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე უფლებამოსილია შეცვალოს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, ან მასალები ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნოს ფაკულტეტის საბჭოს.
20. დროებითი კომისია საქმეს იხილავს 2 კვირის ვადაში. დროებით კომისიას შეუძლია საქმე განიხილოს სტუდენტის დაუსწრებლად თუ სტუდენტს არ სურს სხდომაზე დასწრება, რაც დადასტურებული უნდა იყოს წერილობით.
21. აკადემიური საბჭო დროებითი დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს

წესდებით დადგენილი წესით.

22. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე არ გასაჩივრდება.
23. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.
24. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება რექტორის მიერ გამოყენებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით, ბრძანებით.

თავი XIII. შინაგანაწესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. შინაგანაწესი ძალაში შედის მისი დამტკიცებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.
2. რექტორს ან აკადემიური საბჭოს წევრებს უფლება აქვს მოამზადოს წინადადებები შინაგანაწესში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ და სთხოვოს რექტორს ამ წინადადებების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება მისი დამტკიცების თაობაზე.

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის 2009 წლის 24 დეკემბრის ბრძანება №01-01/33 – (მე–III–ე თავის მე-6 მუხლის 1 და მე-2 პუნქტი);
2. რექტორის 2010 წლის 20 ივლისის ბრძანება №01-01/42 – (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)
3. რექტორის 2011 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №01-01/52 – (მე–XI–ე თავის 36-58 მუხლები)
4. რექტორის 2012 წლის 27 თებერვლის ბრძანება №01-01/07 – (მე–XI–ე თავის 36-58 მუხლები)
5. რექტორის 2012 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №01-01/57 – (44-ე მუხლის მე-4 პუნქტი და 50–ე მუხლები)
6. რექტორის 2012 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №01-01/74 – (ამოღებულია 53.3 მუხლი)
7. რექტორის 2014 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №01-01/62 – (დამატებულია 51.3 მუხლი ზ) ქვეპუნქტი)
8. რექტორის 2015 წლის 26 ივნისის ბრძანება №01-01/57 – (ცვლილება 51.3 მუხლი)
9. რექტორის 2016 წლის 28 იანვრის ბრძანება №01-01/03 – (ცვლილება 20 და 22 მუხლი, ამოღებულია 25-ე და 26-ე მუხლები)
10. რექტორის 2017 წლის 12 იანვრის ბრძანება №01-01/03 – (ცვლილება 22 მუხლი, დამატებულია 22.1¹ მუხლი, ცვლილება 44-ე მუხლის მე-4 პუნქტში)

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია
რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/08 7 მაისი 2009 წ.

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის 2010 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №01-01/58
2. რექტორის 2012 წლის 27 აპრილის ბრძანება №01-01/24
3. რექტორის 2014 წლის 10 თებერვლის ბრძანება №01-01/09
4. რექტორის 2016 წლის 28 იანვრის ბრძანება №01-01/03
5. რექტორის 2017 წლის 12 იანვრის ბრძანება №01-01/03

აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის
წესი

1. კონკურსის გამოცხადება

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში „უნივერსიტეტი“) პროფესორ-მასწავლებლების ღია კონკურსის წესით აკადემიურ თანამდებობებზე ასარჩევად, რექტორი გამოსცემს ბრძანებას, რომლითაც განისაზღვრება პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა ასისტენტ-პროფესორების და ასისტენტების საკონკურსო ადგილების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად;

კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 1 და არა უმეტეს 2 კვირისა. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში. პროფესორები აკადემიურ თანამდებობაზე აირჩევიან უვაოდ (განუსაზღვრელი ვადით) და 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარებიან ატესტაციას, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები 4 წლის ვადით, ხოლო ასისტენტები 3 წლით.

რექტორის ბრძანება საჯარო გაცნობისათვის უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას და საქართველოს პერიოდულ პრესაში.

კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის.

(რექტორის 2012 წლის 27 აპრილის ბრძანება №01-01/24) (რექტორის 2014 წლის 10 თებერვლის ბრძანება №01-01/09)

რექტორის 2016 წლის 28 იანვრის ბრძანება №01-01/03

2. საკონკურსო კომისიები

2.1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების მიზნით უნივერსიტეტში იქმნება საკონკურსო კომისია.

2.2. საკონკურსო პირობების დარღვევების (პრეტენზიების, საჩივრების) განხილვის მიზნით უნივერსიტეტში იქმნება – საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისია.

2.3. საკონკურსო კომისიის შემადგენლობებს განსაზღვრავს და ამტკიცებს რექტორი. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 6 წევრით, მათ შორისაა კომისიის მდივანი ხმის უფლების გარეშე. ხმის უფლების მქონე კომისიის წევრებს, როგორც წესი უნდა ჰქონდეთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კომისიის თავმჯდომარედ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აუცილებელია ჰქონდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. კომისია გადაწყვეტილებას იღებს წევრთა სრულის შემადგენლობის უმრავლესობით.

2.4. თუ საკონკურსო კომისიის წევრი მონაწილეობას იღებს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მისი საკითხის განხილვისას მას არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში.

2.5. ამ წესის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება ბათილია კომისიის წევრის არჩევის ნაწილში.

3. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად განცხადების მიღება

3.1. განცხადების მიღება ხორციელდება მხოლოდ რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ვადების შესაბამისად, ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10.00 საათიდან 16.00 საათამდე.

3.2. საკონკურსო კომისიაში წარსადგენად საბუთების ჩამონათვალს ამტკიცებს რექტორი.

4. საკონკურსო კომისია

4.1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე პირთა ნახევარზე მეტი.

4.2. კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს რექტორი

4.3. კომისიის მდივანი, რომელსაც ხმის მიცემის უფლება არ გააჩნია, ადგენს სხდომის მიმდინარეობის ამსახველ ოქმს.

4.4. მდივანი ვალდებულია სხდომის მონაწილეებს გააცნოს ოქმის შინაარსი და საბოლოოდ ოქმზე ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი

4.5. კონკურსი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე ტარდება ცალ-ცალკე. შეუვსებელი ვაკანსიები შეიძლება დაკავებულ იქნას მხოლოდ განმეორებით გამოცხადებული ღია კონკურსის წესით.

(რექტორის 2014 წლის 10 თებერვლის ბრძანება №01-01/09)

5. კონკურსის მოთხოვნები

5.1. 6 წლის ვადით პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- ადგილობრივ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში 3 ან /და სხვა გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;
- მოტივაცია, დასაბუთება პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე Acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);

• მიმართულების განვითარების პროგრამა და დისციპლინის სწავლების კონცეფცია ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით (3-4 გვერდზე Acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);

• სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები);

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

(რექტორის 2014 წლის 10 თებერვლის ბრძანება №01-01/09)

(რექტორის 2017 წლის 12 იანვრის ბრძანება №01-01/03)

5.1¹ უ ვ ა დ ო დ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

- ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალები ან სხვა გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია.
- მოტივაცია, დასაბუთება პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე Acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);
- მიმართულების განვითარების პროგრამა და დისციპლინის სწავლების კონცეფცია ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით (3-4 გვერდზე Acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები);

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია

(დამატებულია რექტორის 2017 წლის 12 იანვრის ბრძანება №01-01/03)

5.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- სამეცნიერო კვლევების ანოტაცია (1 გვერდზე, Acadnux. – 12, 1,5 ინტერვალით);
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები);
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია.

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- მისი ხელმძღვანელობით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამები (საბაკალავრო, სამაგისტრო).

5.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები)
- უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- სამეცნიერო კვლევების ანოტაცია (1 გვერდზე, Acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

(რექტორის 2014 წლის 10 თებერვლის ბრძანება №01-01/09)

5.3¹. ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები).

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სამეცნიერო კვლევების ანოტაცია (1 გვერდზე, Acadnux. – 12, 1,5 ინტერვალით);
- უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

(რექტორის 2014 წლის 10 თებერვლის ბრძანება №01-01/09)

5.4. 5.1–5.3. პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს ნუსხას და სრულყოფილად იყოს შედგენილი.

5.5. სილაბუსი თემატურად უნდა შეესაბამებოდეს შპს გთსუ–ს საგანმანათლებლო პროგრამებს.

5.6. ამა თუ იმ მიმართულების შემადგენლობაში შემავალი დისციპლინებისათვის უნივერსიტეტის სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათების წლიური რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტში წლიური საათობრივი დატვირთვის ნორმებს.

5.7. რექტორის ბრძანებით შეიძლება განისაზღვროს სხვა დამატებითი დოკუმენტების ნუსხა, რომელიც უნდა წარმოადგინოს კონკურსანტმა.

6. აკადემიური თანამდებობების დაკავება

6.1. საბუთების მიღების დასრულების შედეგად საარჩევნო კომისია რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში იღებს გადაწყვეტილებას.

6.2. აკადემიური თანამდებობების დაკავება ხორციელდება ღია კონკურსის წესით. კომისია განიხილავს კონკურსის თითოეული მონაწილის დოკუმენტაციას და საოქმო გადაწყვეტილებით დაადგენს კონკურსში გამარჯვებულებს; კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის პირი რომელიც უკეთესად დააკმაყოფილებს მე–5 მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებს.

6.3. საკონკურსო კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ოქმი, კონკურსის შედეგებით დასამტკიცებლად გადაეცემა რექტორს.

7. საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისია

7.1. საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიის შემადგენლობას 3 კაცის შემადგენლობით ადგენს რექტორი. კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს რექტორი;

7.2. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეცვალოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება, არაუგვიანეს 3 დღის ვადაში – სხდომის ჩატარების დღიდან.

8. დასკვნითი დებულებები

აღნიშნული წესი ძალაში შედის რექტორის მიერ დამტკიცებისთანავე და მისი გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის 2010 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №01-01/58
2. რექტორის 2012 წლის 27 აპრილის ბრძანება №01-01/24
3. რექტორის 2014 წლის 10 თებერვლის ბრძანება №01-01/09
4. რექტორის 2016 წლის 28 იანვრის ბრძანება №01-01/03
5. რექტორის 2017 წლის 12 იანვრის ბრძანება №01-01/03